მერიის ანგარიში 2020

1. **სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის ანგარიში**

- **სოფლის მხარდაჭერის პროგრამა**

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, 2020 წელს, დმანისის მუნიციპალიტეტში განხორციელდა 64 სხვადასხვა სახის პროექტი. აქედან, 39 სოფელში (ქვემო და ზემო ოროზმანი, მთისძირი, ქარიანი, შახმარლო, კამარლო, ველისპირი, სარკინეთი, ლოქჭანდარი, კამიშლო, გუგუთი, ბოსლები, დიდი დმანისი, ირგანჩაი, საკირე, იაღუფლო, პანტიანი, შინდლარი, ანგრევანი, საფარლო, მამიშლო, ბაზაქლო, ამამლო, აზ.კაკლიანი, კიზილქილისა, ქვემო და ზემო კარაბულახი, მამიშლარი, ძველი და ახალი გოდაგდაგი, მაშავერა, ტნუსი, დაგარახლო, საჯა, ორმაშენი, კიზილაჯლო, იფნარი, დალარი, ვაკე) განხორციელდა გარე განათების მოწყობისა და რეაბილიტაციის პროექტები. 12 სოფელში (გორა, განახლება, ქარიანი, ბახცალარი, გომარეთი, მამულო, სოგუთლო, პირველი და მეორე სალამალეიქი, ახა, უსეინქენდი, ტყისპირი), განხორციელდა წყლის სისტემის მოწყობისა და რეაბილიტაციის სამუშაოები. 4 სოფელში (ვარდისუბანი, უკანგორა, ქართული კაკლიანი, ქცია), განხორციელდა გზის მოხრეშვისა და რეაბილიტაციის სამუშაოები. 3 სოფელში, (პატარა დმანისი, განთიადი, ჯავახი) მოეწყო და რეაბილიტაცია ჩაუტარდა ცენტრალურ სკვერებს. სოფ. ვარდისუბანსა და სოფ. ჯავახში, მოეწყო საზოგადოებრივი საპირფარეშოები და ვარდისუბანში, ასევე მოეწყო მოსაცდელი.
ჯამში, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, განხორციელებული ინფრასტრუქტურული პოექტების ღირებულება შეადგენს **1 135 911** ლარს.

- **ადგილობრივი ბიუჯეტი**

ადგილობრივი ბიუჯეტის ფარგლებში 2020 წლის განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტები:

- ქ. დმანისში ვაჟა ფშაველას ქუჩაზე სარიტუალო დარბაზის სარეაბილიტაციო სამუშაოები
- დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯავახში სპორტული მოედნის, საზოგადოებრივი რეტერატისა და სკვერის მოწყობის სამუშაოები
- დმანისის მუნიციპალიტეტში სიჩქარის შემზღუდავი ბარიერების,საგზაო სარკის,ლითონის თვალამრიდი ძელების, ბეტონის პარაპეტების, საგზაო სოლარის ციმციმა და ჰორიზონტალური მონიშვნის მოწყობის სამუშაოები
- დმანისის მუნიციპალიტეტში სიჩქარის შემზღუდავი ბარიერების,საგზაო სარკის,ლითონის თვალამრიდი ძელების, ბეტონის პარაპეტების, საგზაო სოლარის ციმციმა და ჰორიზონტალური მონიშვნის მოწყობის სამუშაოები
- ქ.დმანისში 9 აპრილის ქუჩისა და ჩოლოყაშვილის ქუჩის გადაკვეთაზე, სპორტული მოდნისა და საზოგადოებრივი დანიშნულების რეტერატის მოწყობის სამუშაოები
- დმანისის მუნიციპალიტეტის საზღვის აღმნიშვნელი ბანერის მოწყობა
- დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ გუგუთში სამარაგო რეზერვუარისა და წყალსადენის ქსელის მოწყობის სამუშაოები
- დმანისის მუნიციპალიტეტში, სოფ. მამულოში, სარიტუალო დარბაზის ეზოში დამხმარე ნაგებობებისა და საპირფარეშოს მშენებლობის,დმანისის მუნიციპალიტეტის, სოფ. გომარეთის ად. შენობის არებული ქვის ღობის აღდგენა, რეაბილიტაციისა და დმანისის მუნიციპალიტეტის, სოფ. იფნარში ად. შენობის ეზოს შემოღობვის,დმანისის მუნიციპალიტეტის შიდა სახელმწიფო გზასთან უსახური შენობების რეაბილიტაციისა და სოფ. აზ. კაკლიანში სარიტუალო დარბაზთან საპირფარეშოს მოწყობის სამუშაოები (
- დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ოროზმანში სპორტული დარბაზის რეაბილიტაციისა და გარე სანიტარული კვანძის მომწყობის სამუშაოები
- დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ მთისძირში წყლის სათავე ნაგებობის, შემკრების/რეზერვუარისა და მაგისტრალური ხაზის მოწყობის სამუშაოები
- ქ.დმანისში ჩოლოყაშვილისა და 9 აპრილის ქუჩების გადაკვეთაზე სკვერის მოწყობის სამუშაოები

- ქ.დმანისში მრავალბინიანი კორპუსების სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები
- დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ გოდაგდაგში რიტუალების სახლის სამშენებლო სამუშოების შესყიდვა
- დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ ლოქჭანდარში რიტუალების სახლის სამშენებლო სამუშოების შესყიდვა
- დმანისის მუნიციპალიტეტის, ქ.დმანისში ვ. ბატონიშვილისა და 300 არაგველის ქუჩების მიმდებარედ შემოღობვის სამუშაოების შესყიდვა
- დმანისის მუნიციპალიტეტში სოფ.ტნუსში მდინარე მაშავერაზე გოლგოთას მონასტერთან გადასასვლელი ხიდის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა

- დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ განახლებაში ჭაბურღილის, მაგისტრალური მილსადენისა და შიდა ქსელის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა (2020 წლის ბიუჯეტით ანაზღაურდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების ღირებულების არაუმეტეს 141375 ლარის ოდენობით, ხოლო 2021 წელს დანარჩენი ასანაზღაურებელი თანხა)

- 1) სოფ. დიდ დმანისში რიტუალების სახლთან მისასვლელი გზის მოწყობა (84 მ); 2) სოფ. პატარა დმანისში სარიტუალო დარბაზის მიმდებარედ გზის რეაბილიტაცია (64მ); 3) სოფ ამამლოში საცალფეხო ხიდების რეაბილიტაცია; 4) სოფ. გომარეთში ბაღთან არსებული ხიდის რეაბილიტაცია; 5) სოფ. ქვემო ოროზმანში სანიაღვრე არხის მოწყობა (300 მ); 6) სოფ. ქვემო ოროზმანში სკოლასთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია; ქ.დმანისში: 7) მუსხელიშვილის ქუჩაზე ხიდის რეაბილიტაცია; 8) წმინდა ნინოს ჩიხში სანიაღვრე არხის მოწყობა (51 მ); 9) კოსტავას ქუჩაზე ხიდის რეაბილიტაცია; 10) ყაზბეგის ქუჩაზე სანიაღვრე კიუვეტის მოწყობა (131 მ); 11) სააკაძის ქუჩაზე სანიაღვრე კიუვეტების რეაბილიტაცია (694 მ); 12) წმ. გიორგის ეკლესიასთან სასაფლაოს გზის რეაბილიტაცია (318 მ); 13) საზოგადოებრივი ცენტრის ეზოს კეთილმოწყობა; 14) 9 აპრილის ჩიხი N26-ის მიმდებარედ (45 მ), 9 აპრილის ქუჩა, 40ა მიმდებარედ (82 მ), გამსახურდიას ჩიხი (116 მ), გულისაშვილის ქუჩა (77 მ), ჭავჭავაძის ქუჩა (209 მ), სიონის ქუჩის მე-2

ჩიხი (209 მ), ქეთევან დედოფლის ქუჩა (336 მ) გზების სარეაბილიტაციო სამუშოების შესყიდვა

- დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ მამულოში ჭაბურღილის, რკ/ბეტონის რეზერვუარისა და მაგისტრალური მილსადენის მოწყობის სამუშაოებისა და სასმელი წყლის შიდა ქსელის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა (2020 წლის ბიუჯეტით ანაზღაურდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების ღირებულების არაუმეტეს 183 225ლარის ოდენობით, ხოლო 2021 წელს დანარჩენი ასანაზღაურებელი თანხა)

- ქ.დმანისის შიდა ქუჩებში და სოფ.ზემო კარაბულახში გარე-განათების მოწყობის სამუშაოების შესყიდვა

- დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ გომარეთის წყალმომარაგებისათვის ჭაბურღილის მშენებლობა (2020 წლის ბიუჯეტით ანაზღაურდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების ღირებულების არაუმეტეს 285 698 ლარის ოდენობით, ხოლო 2021 წელს დანარჩენი ასანაზღაურებელი თანხა)

ადგილობრივი ბიუჯეტის პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პოექტების ჯამური თანხა შეადგენს **5 725 627.75**

- **რეგ. ფონდი**

რეგ.ფონდის ფარგლებში 2020 წელს დმანისი მუნიციპალიტეტში განხორციელებული ინფრატრუქტურული პროექტები:

- სოფ.ამამლოში სასაფლაოსთან მისასვლელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები
- სოფ.კაკლიანში (აზერბაიჯანული) ცენტრალური გზიდან სარიტუალო დარბაზამდე მისასვლელი გზის მოსწორება
- დმანისის მუნიციპალიტეტის სოფ. დაგარახლოს სასაფლაოსთან მისასვლელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა

- დმანისის მუნიციპალიტეტის სოფ. კიზილაჯლოში შიდა გზების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა
- დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ მაშავერაში სასაფლაოსთან მისასვლელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა
- დმანისის მუნიციპალიტეტში სოფელ ბაზაქლოში შიდა გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა
- სოფ.ველისპირის წყალმომარაგებისათვის ჭაბურღილის და ახალი რეზერვუარის მშენებლობის სამუშაოების შესყიდვა
- სოფ.დაგარახლოს წყალმომარაგებისათვის ჭაბურღილის მშენებლობის სამუშაოების შესყიდვა
- დმანისის მუნიციპალიტეტში,სოფელ განთიადში შიდა გზის რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვა
- ქ. დმანისის N1 საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა
- სოფ. განთიადში საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა
- ქ. დმანისის N2 საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა
- დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ ამამლოში სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა
- დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ სოგუთლომდე მისასვლელი გზის მოხრეშვის სამუშაოების შესყიდვა
- დმანისისის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯავახის საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია
- დმანისის მუნიციპალიტეტში, სოფელ კამიშლოში მისასვლელი გზისა და სანიაღვრე არხების სარეაბილიტაციო სამუშაოები
- დმანისის მუნიციპალიტეტში, სოფ. პანტიანში შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაციისა და დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ ტნუსში შიდა გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები
- დმანისის მუნიციპალიტეტის სოფ. კამიშლოში მისასვლელი გზისა და სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოები
- დმანისის მუნიციპალიტეტის, სოფელ უსექენდის - სალამალეიქის - მამიშლარის მისასვლელი გზა
- დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ საკირეს შიდა გზა
- სოფელ გომარეთის შიდა გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებისა

- სოფელ ჯავახში სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა
- დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოსლებში შიდა სასოფლო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები

რეგ. ფონდის ფარგლებში განხორციელებული პროექტების ჯამური თანხა შეადგენს **1 319 999.07**

- **სკოლები**

2020 წელს დმანისი მუნიციპალიტეტის სკოლებში განხორციელებული ინფრაქტურქტურული პროექტები:

- დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ სარკინეთის სკოლის შენობის ნაწილობრივ სარეაბილიტაციო სამუშაოები
- დმანისის მუნიციპალიტეტის, სოფ. მაშავერას საჯარო სკოლის შენობის რეაბილიტაცია (საპირფარეშოს მიშენება გარე ქსელები)
- დმანისის მუნიციპალიტეტის, სოფ. იაღუფლოს სკოლის შენობის ცენტრალური გათბობის მოწყობის სამუშაოები
- დმანისის მუნიციპალიტეტის, სოფ. კამარლოს სკოლის შენობის ცენტრალური გათბობის მოწყობის სამუშოები
- დმანისის მუნიციპალიტეტის, სოფ. იფნარის სკოლის შენობის ცენტრალური გათბობის მოწყობის სამუშოების შესყიდვა
- დმანისის მუნიციპალიტეტში, სოფ.ზემო ოროზმანის საჯარო სკოლის საპირფარეშოს სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა
- დმანისის მუნიციპალიტეტის, სოფ.დაგარახლოს სკოლის სველი წერტილების მოწყობის სამუშაოების შესყიდვა
- დმანისის მუნიციპალიტეტის, სოფ. ზემო კარაბულახის სკოლის სველი წერტილების მოწყობის სამუშაოების შესყიდვა
- სოფელ კიზილაჯლოს საჯარო სკოლის საპირფარეშოს რეაბილიტაცია

სკოლების სარეაბილიტაციო სამუშაოების ჯამური ღირებულება შეადგენს **707 666.48**

სოფ. განახლება

სოფ.ველისპირი

სოფ.დაგარახლო

სოფ.მაშავერა

სოფ.ბოსლები



ქ.დმანისი

სოფ.ვარდისუბანი

ქ.დმანისი

სოფ.ირგანჩაი

ქ.დმანისის N1 საჯარო ბაღი

ქ.დმანისის N2 საჯარო ბაღი

2. **ადმინისტრაციული სამსახური:**

ადმინისტრაციული სამსახურის ფუნქციების შესაბამისად მთელი წლის მანძილზე ხორციელდებოდა განცხადებების მიღება და მოქალაქეთა მომსახურება. მ/წლის ნოემბრის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის მერიაში edokument – პროგრამაში (5227) და ასევე mms (1219) პროგრამის მეშვეობით შემოსულია სულ 6446 კორესპონდენცია, აქედან უმეტესი ნაწილი ეხება მოქალაქეთა განცხადებებია, სადაც ითხოვენ ფინანსურ დახმარებას, მკურნალობა-საოპერაციო თანხებს, ავარიული და დაზიანებული სახლების შეკეთებას, მშენებლობა - ექსპლუატაციაში მიღებისნებართვას, ბინის პრივატიზებას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან შემოსული წერილებია, რომლებიც ძირითადად სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის დარეგისტრიებას, მიწის ფართის იდენტურობის დადგენას და საკუთრების უფლების აღიარების კომისიიდან ინფორმაციის გამოთხოვას ეხებოდა.

მუნიციპალიტეტიდან გასულო დოკუმენტების რაოდენობა შეადგენს 5452; გამოცემული სამართლებრივი აქტების რაოდენობა შეადგენს 5007. მომზადდა სამივლინებო მოწმობები. (სულ 262 სამივლინებო მოწმობაა გაცემული), შიდა დოკუმენტით შექმნილია 4841.

ადმინისტრაციული სამსახურის მიერ ხორციელდება მუნიციპალიტეტის თანამშრომელთა პირადი საქმეების წარმოებაზე კონტროლი და მათ მიერ ,,საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონით დადგენილი დოკუმენტაციის წარმოდგენის სისრულისა და შესაბამისობის შემოწმება. ასევე, ადმინისტრაციული სამსახურს დაგეგმილი აქვს თანამშრომელთა კვალიფიკაცის ამაღლების მიზნით სხვადასხვა ტრენინგ მომსახურების შესყიდვა.

- 2020 წელს დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა საერთო რაოდენობა წლის დასაწყისში შეადგენდა - 96; ხოლო წლის დასრულისთვის - 102.
- შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა როგორც წლის დასაწყისში, ასევე წლის დასასრულისთვის შეადგენს - 7.
- დმანისის მუნიციპალიტეტის მერიამ სამჯერ გამოაცხადა კონკურსი ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად:

ა) გამოქვეყნდა კონკურსი 6 თანამდებობისთვის. აქედან, 3 - წარმატებით დასრულებული, ხოლო 3 - გამოცხადდა ჩაშლილად;
ადმინისტრაციულ სამსახურში საზოგადოებასთან ურთიერთობას ორი თანამშრომელი უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ვებ–გვერდის dmanisi.gov.ge ადმინისტრირებას.

უწყვეტ რეჟიმში ხდებოდა ინფორმაციის დამუშავება, დმანისის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს (საკრებულოდან პროაქტიული ინფორმაცია) შესაბამისი სამსახურებიდან დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ, დამუშავებულ მასალას სიახლეების სახით ავტომატურად ვავრცელებდი დმანისის მუნიციპალიტეტის ფეისბუქის, „ქალთა ოთახის“ ფეისბუქის და ვებ გვერდის, ასევე მერის ოფიციალური ფეისბუქის საშუალებით. ასევე ინფორმაცია „ივენთის“ სახით ანონსდებოდა მერიის ფეისბუქ გვერდზე და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ კალენდარის სახით მიეწოდებოდა სამხარეო ადმინისტრაციის პიარის სამსახურს (ყოველდღიურად და ყოველკვირეულად). ასევე, მათგან ვიღებდი რეკომენდაციებს სხვადასხვა საკითხებზე, მათ შორის ახალი კორონა ვირუსის პრევენციის კუთხით დასაგეგმი აქტივობების შესახებ, სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარებისა და ფეისბუქ ბანერებისა და ვიდეორგოლების განთავსების შესახებ.
ასევე, ავტომატურ რეჟიმში ხდებოდა ტენდერებისა და მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრებთა სტატუსის მინიჭების სხდომის ოქმების განთავსება.
პარალერულ რეჟიმში ვთანამშრომლობდი და ვახდენდი პრესრელიზის გადაგზავნას მერიის მიერ გამოწერილ სააგენტოებთან შპს „თავისუფალი გაზეთი + თან (საინფორმციო სააგენტო „აიპრესი“). სააგენტო წარმოადგენს imedia ჯგუფს, რომელიც აერთიანებს რამდენიმე საინფორმაციო პორტალს: ipress.ge, ibusiness.ge, iregions.ge, imtavroba.ge, mpess.ge. რეგიონულ პორტალებს: adjararm.gesamegrelorm.ge. და kvira.ge . ინფორმაცია ჩვენი საქმიანობის შესახებ ქვეყნდება ყველა ზემოთ ჩამოთვლილ პორტალზე.
მიმდინარე წელს „ქალთა ოთახი“ ახალი კორონა ვირუსის გავრცელების პრევენციის გამო, არ გამოირჩეოდა აქტივობებითა და სამუშაო შეხვედრებით. ქალთა ოთახის მიერ დაიგეგმა მხოლოდ ერთი აქტივობა „საქველმოქმედო კონცერტი“ დემეტრე ბეჟუაშვილის დასახმარებლად, რომელიც გაიმართა ღია ცის ქვეშ მდებარე სკვერში.

მუნიციპალური გენდერული საბჭოს მიერ არ განხორციელებულა არანაირი აქტივობა.
რაც შეეხება ჩემს მიერ ინფრასტრუქტურის კუთხით გავრცელებულ ინფორმაციას, მასშტაბური პროექტი იყო ხუთი სპორტული მოედანი (ქალაქი დმანისი და შემდეგი სოფლები: მაშავერა, ვარდისუბანი, გომარეთი, ბოსლები) და ოთხი სკვერი: ქალაქი დმანისი, სოფლები: გომარეთი, მაშავერა, ვარდისუბანი.
შესაბამის საინფორმაციო პორტალებზე განთავსდა სარკინეთის, მაშავერის, იაღუფლოს, კამარლოს, ზემო ოროზმანის, ზემო კარაბულახის, იფნარისა და დაგარახლოს სკოლებში ჩატარებული ნაწილობრივი რეაბილიტაციის შესახებ ინფორმაცია. ორმოცწყარო-მაშავერას წყალმომარაგების ქსელის მშენებლობის ტენდერის გამოცხადების შესახებაც განთავსებულია ინფორმაცია. ასევე განთავსებულია ინფორმაცია ჭაბურღილის მოწყობის მიმდინარეობის შესახებ სოფლებში: ველისპირი, განახლება, მამულო, გომარეთი დაგარახლო,მაშავერა, მამიშლო.
2020 წლის 1 იანვრიდან დღემდე , ვებ საიტზე www.dmanisi.gov.ge სულ განთავსდა 83 სიახლე.
ადმინისტრაციული სამსახურის მეშვეობით ხორციელდება სოციალური ქსელის მონიტორინგი, მუნიციპალიტეტის Facebook გვედრის ადმინისტრირების უზრუნველყოფა, პასუხების მომზადება გვერდის მომხმარებელთან კითხვებზე;

სამსახურის აქტიური ჩართულობით მიმდინარეობს მუშაობა „მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერებისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ თანახმად, მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირებისათვის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერებისა და აღდგენის საკითხებზე. სტატუსის მინიჭების მიზნით დმანისის მუნიციპალიტეტის მერიაში 2020 წლის იანვრიდან დღემდე სულ დარეგისტრირდა 2776 განცხადება, აქედან:

- დადებითად დასრულდა 2758.
- უარყოფითად დასრულდა 5.
- განუხილველად იქნა დატოვებული 3 .
- მიმდინარე 0 .
- რეესტრის საფუძველზე შეწყვეტილი 151 .
- მონიტორინგის შედეგად გადამოწმდა 197 (ფიზ.პირი).

- მონიტორინგის შედეგად შეწყვეტილი 10 .
- შეჩერებული 0 .

2016 წლიდან დღემდე:

- სულ პირველადი რეგისტრაციით მინიჭებული აქვს 6492 ადმიანს.
- სულ განხილვის შედეგად მიენიჭა 6950
- სულ ამჟამად მოქმედი სტატუსით სარგებლობს 12052
- სულ ამჟამად შეწყვეტილი (მონიტორინგი,რეესტრი) 1334 (აქედან ერთი მოქალაქის ინიციატივით)
- სულ შეჩერებული 56

ადმინისტრაციული სამსახურში 2018 წლიდან შექმნილია იურიდიული განყოფილება, რომელიც ინტენსიურად ახორციელებს ძირითადად შესყიდვების განყოფილებიდან და ქონების განყოფილებიდან წარმოდგენილი დოკუმენტაციის სამართლებრივ ანალიზს.

1. სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწით თვითნებურად დაკავების/სარგებლობის ფაქტებთან დაკავშირებით დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ შედგენილი სამართალდარღვევის ოქმები გადაგზავნილი იქნა სასამართლოში განსახილველად, ხოლო შემდგომა აღნიშნული სამართალდარღვევის ოქმების სასამართლო განხილვის პროცესში ოქმების მხარდაჭერის მიზნით სასამართლო სხდომებზე მონაწილეობა. სასამართლოში გაგზავნილი იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ოქმები, სულ -14 საქმე, აქედან - 10 საქმზე დაკმაყოფილებული იქნა სასამართლოს მიერ და ადმინისტრაციულ სამართალდამდღვევებს გამოეცხდათ შენიშვნა, (4 საქმეზე მიმდინარეობს საქმის განხილვა სასამართლოში)
2. ადმინისტრაციული სარჩელები - 2 ერთეული
3. სამოქალაქო საქმეები - სულ 11. აქედან - 9 შემთხვევაში დმანისის მუნიციპალიტეტის მერია არის მოსარჩელე, ხოლო 2 - შემთხვევაში მოპასუხე
4. აღსრულების ეროვნული ბიუროში იძულებით აღსასრულებლად გადაგზავნილია - 2 საქმე,

ადმინისტრაციული სამსახურის იურისტების მიერ მომზადდა ნორმატიული აქტის (საკრებულოს დადგენილების) პროექტიები.

ადმინისტრაციული სამსახური საანგარიში წლის განმავლობაში ახორციელებდა მერის, მერის სამსახურებისა და თანამდებობის პირების იურიდიულ კონსულტირებას, სამართლებრივი დასკვნების მომზადებას;

უწევდა კონსულტაციებს მუნიციპალიტეტის თანამშრომელებს და მოქალაქეებს.

ადმინისტრაციული სამსახურის მერის წარმომადგენლებთან ურთიერთობის განყოფილების მეშვეობით, გამარტივებულია მოსახლეობიდან ინფორმაციის მიღება და მათთვის ინფორმაციის მიწოდების პროცედურა, აღნიშნული ხორციელდება ყოველდღიურ რეჟიმში და გადაუდებელ შემთხვევაში დაუყოვნებლივ ხდება მიღებული ინფორმაციის მიღება და გადამისამართება შესაბამის უწყებებთან (მერის შესაბამისი სამსახურები, გუბერნატორის ადმინისტრაცია თუ სხვადასხვა სამინისტროებში). მერის ყველა წარმომადგენელი არის ჩართული სოფლის 2020 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამით განსახორციელებელ პროექტებში. სახელმწიფო პროექტის ფარგლებში ,,მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ხორციელდება მერის წარმომადგენლბისათვის შესაბამისი დოკუმენტაციის გადაგზავნა და კონსულტაციების გაწევა, ასევე მერის წარმომადგნელების მიერ ხორციელდება გარდაცვლილი პირების რეგისტრაციის მიზნით ოქმების შედგენა.

შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულებიდან ყოველდღიური ინფორმაციის მიღება საერთო მდგომარეობის შესახებ.

მოსახლეობის კეთილდღეობისთვის განსაზღვრული ინფორმაციების მიწოდება შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებს/სპეციალისტებს, მოსახლეობის ინფორმირების მიზნით.

მერის წარმომადგენლების სამსახურებრივი საქმიანობის სფეროში სხვადასხვა სახის რეკომენდაცია/კონსულტაციები.

დმანისის მუნიციპალიტეტის სოფლებში, მოსახლეობის შორის წარმოქმნილი დავებისა და სხვა პრობლემატური საკითხების განხილვაში მონაწილეობა.

ელექტრონული საქმის წარმოების საშუალებით განყოფილება დაეწერა, 2020 წლის 01 იანვრიდან - 2020 წლის პირველი ნოემბრის მდგომარეობით სულ 1272 (დავალება) წერილი, აქედან 1272 დავალებაზე მოხდენილია შესაბამისი რეაგირება.

ადმინისტრაციული სამსახურის თანამშრომლები აქტიურად არიან ჩართული მერის ბრძანებით შექმნლი სხვადასხვა კომისიების მუშაობაში:

1. “მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭებისა და შეწყვეტის საკითხის განხილვილის მიზნით გამგებლის მიერ უფლებამოსილი პირები განსაზღვრის შესახებ“;

2. „დმანისის მუნიციპალიტეტში ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის შექმნის შესახებ“;
3. „დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობისა და დებულების დამტკიცების შესახებ”;
4. ,,სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2020 წლის საგაზაფხულო გაწვევის შესახებ“;
5. „სახელმწიფო შესყიდვების გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის საშუალებით განხორციელების მიზნით სატენდერო კომისიის შექმნის შესახებ”;
6. “პირის დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისიის შექმნის შესახებ”;
7. დმანისის მუნიციპალიტეტის საინვენტარიზაციო კომისია;
8. დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის საკონკურსო კომისია;
და სხვა.

3. ზედამხედველობის სამსახური

ზედამხედველობის სამსახურის მიერ ქ.დმანისში შპს ‘’დუმან’’ – ის ID ნომერი: 428881114 დაკავებულ (მიწის ნაკვეთზე ს/კ 82.01.41.086) მიმდინარე მშენებლობის ნებართვის არ ქონის გამო, დაჯარიმებული იქნა 4 000 (ოთხი ათასი) ლარით.
დაწერილ იქნა სამართალდარღვევის 14 ოქმი მიწის უნებართვო დაკავებაზე აქედან 10 ზე იქნა გამოტანილი სიტყვიერი გაფრთხილება მოსამართლის მიერ ხოლო 4-ი არის მინდინარე სასამართლო პროცესი.
მოგახსენებთ, რომ ქვეყანაში ახალი კორონა ვირუსი (COVID - 19) დაკავშირებული შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, დმანისის მუნიციპალიტეტის მეერის ზედამხედველობის სამსახურმა საკვებ პროდუქტების დეფიციტის თავიდან აციცილების მიზნით ადგილზე შეისწავლა მაღაზიებში არსებული მდგომარეობა. რაზედაც სამსახურმა მოახდინა შესაბამისი რეაგირება , მაღაზის მეპატრონებს ადგილზე გაეცნოთ აღნიშნული ვითარება და მიეწოდათ საკვებ პროდუქტების დისტრიბუტორის თანამშრომლის საკონტაქტო ნომერები, მოსალოდნელი დეფიციტის თავიდან აცილების მიზნით. ასევე ჩვენს მიერ კონტრლდებოდა პირბადების და სხვა

ჰიგიენური საშვალებების გამოყენების კონტროლი (თუ რამდენად იცავდნენ მოქალაქები ჯანდაცვის მოსფლიო ორგანიზაცის დადგენილ წესებს).
ასევე გაკონტროლდა და შემოწმდა დმანისის მუნიციპალიტეტში არსებული აიპები და სკოლები და მიეცათ რეკომენდაციები ახალი კორონა ვირუსის (COVID - 19)-თან დაკავშირებით,დაიწერა შესაბამისი შემოწმების აქტები.
ზედამხედველობის სამსახური რეაგირებდა, ადმინისტრაციულ ერთეულებში წარმომადგენლების მიერ წარმოდგენილ ანგარიშებზე, რომელიც ეხებოდა ფიზიკური/იურიდიული პირის მიერ განხორციელებული სამშენებლო სამუშაოების მდგომარეობის შესახებ.
ზედამხედველობის სამსახური ასევე მუშაობს შსს საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტის ბაზაში. გამოყენებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმების ბაზაში ასახვის მიზნით .
ზედამხედველობის სამსახური ასევე რეაგირებს შსს დმანისის რაიონული სამმართველოს მიერ შემოსულ წერილებზე.
ზედამხედველობი სამსახური ასევე ახდენს eDOCUMENT-ში შემოსულ წერილების შესწავლას. ზედამხედველობის სამსახური ასრულებდა კანონმდებლობით დადგენილი და მუნიციპალიტეტის მერის მიერ დაკისრებულ სხვა ფუნქციებს.

4. **დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ანგარიში**

დმანისის მუნიციპალიტეტში განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო პოლიტიკას განსაზღვრავს დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური და ადგილობრივი თვითმმართელობის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპები:
ააიპ ,,დმანისის სკოლამდელი აღზრდის სამსახური“;
ააიპ „დმანისის სამუსიკო სკოლა“;
ააიპ „დმანისის საგანმანათლებლო ცენტრი„;
ააიპ“ ომარ მუმლაძის სახელობის დმანისის სპორტულ სკოლა“;
ააიპ „დმანისის საბიბლიოთეკო სამსახური“;
ააიპ „დმანისის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი“.

აღნიშნული ორგანიზაციები საანგარიშო წლის დასაწყისში შედგენილი ღონისძიებების პროგრამის შესაბამისად ახორციელებდა თავის უფლებამოსილებას. ორგანიზაციათა დაფინანსების წყაროს წარმოადგენს დმანისის მერიის ბიუჯეტის სუბსიდიები და საკუთარი შემოსავლები. 2020 წელს განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის მიერ შედგენილმა ღონისძიებათა პროგრამის ღირებულებამ შეადგინა 78 300 ლარი. COVID-19 ით გამოწვეული პანდემიის პირობებში მუნიციპალური ბიუჯეტიდან ათვისებულ იქნა :

- სხვადასხვა პატრიოტული დღეებისათვის თაიგულების დამზადება - 120 ლარი
- ზეზვას და მზიას სუვენირების შეძენა - 170 ლარი
- 2019-2020 წლის საშუალო სკოლის მედალოსნების წახალისება - კულტურულ-შემეცნებითი ტურის მოწყობა - 2616 ლარი
- სასკოლო სპორტული ოლიმპიადა - 1836 ლარი
- ჯუმბერ კოპალიანის წიგნის "დმანისის ნაქალაქარის" ბეჭდვა -2500 ლარი
- წიგნის „დამლოცე თქვენო უწმინდესობავ" ბეჭდვა - 1750 ლარი

წლის განმავლობაში COVID-19 გავრცელების პრევენციის დაცვით, შეცვლილი შეზღუდული) ფორმატით ჩატარდა მუნიციპალური ტურნირი მინიფეხბურთში, ახალი და რეაბილიტირებული სკვერებისა და სპორტული მოედნების გახსნის ღონისძიებები, რომელიც მოიცავდა კულტურულ-სპორტულ აქტივობებს; განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და საქართველოს ბავშვთა და სასკოლო სპორტის ეროვნულ ფედერაციასთან თანამშრომლობით მუნიციპალიტეტი სხვადასხვა სკოლების გუნდებთან ერთად შეუერთდა ევროპის სპორტის კვირეულის აღნიშვნას, ჩატარდა მეგობრული შეხვედრები სპორტის შემდეგ სახეობებში: ფრენბურთი, ბადმინტონი, ფეხბურთი, გეზრბენი, მაგიდის ჩოგბურთი, ჭადრაკი და სხვა. გარდა ამისა მუნიციპალიტეტი აქტიურად ჩაერთო გაიმართა „MASTER LEAGUE"-ის ტურნირის ორგანიზებაში და უზრუნველყო გამარჯვებული გუნდის წევრების გასვლით თამაშებზე ტრანსპორტირება. მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ინიციატივით მიმდინარე წელს სსიპ '"ახალგაზრდობის სააგენტოსთან" გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი.

ამასთან, მიმდინარე წელს ჩატარდა დმანისის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდების საჭიროებათა და ინტერესთა კვლევა (რაოდენობრივი, თვისობრივი, სამაგიდე), მოეწყო ახალგაზრდებთან შეხვედრები, რამაც

შესაძლებელი გახადა ახალგაზრდული სტრატეგიული გეგმისა და ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავება.

ააიპ ,,დმანისის სკოლამდელი აღზრდის სამსახური“ დღეისათვის მუნიციპალიტეტის სამოქმედო ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 9 საბავშვო ბაღი(სოფლების: სარკინეთის; განთიადის; ჯავახის; ბოსლების; მაშავერას; გომარეთის; ვარდისუბნის და 2 ქ.დმანისის ტერიტორიაზე) 340 აღსაზრდელით. გარდა პირველი საბავშვო ბაღისა ყველა ბაღი ერთჯგუფიანია და სწავლება მიმდინარეობს შერეულ ჯგუფებში, სასკოლო მზაობის პროგრამა დანერგილია ქ.დმანისის N1 საბავშვო ბაღის უფროსი ასაკის ჯგუფში, ამავე ბაღში

არაქართველი კონტიგენტისათვის მუშაობს დამატებითი პროგრამა სახელმწიფო ენის უკეთ შესწავლისათვის. მათ ყოველდღიურად უტარდებათ 2 საათიანი სპეც.კურსი. სოფლების -(განთიადი, ბოსლები, სარკინეთი და ქ.დმანისის N2) საბავშვო ბაღებში არაქართველი ბავშვები ინტეგრირებული არიან ქართველ ბავშვებთან და სწავლების ერთიანი პროგრამით სარგებლობენ. წლის განმავლობაში ვფლობდით ყოველდღიურ ინფორმაციას სამსახურის უფროსისგან და მასთან ერთად ვზრუნავდით შესაბამისი სამსახურების ჩართულობით სხვადასხვა სახის პრობლემების აღმოფხვრაზე (სასმელი წყლის და სხვა), გაიწერა და დამტიცდა COVID-19 გავრცელების პრევენციის მიზნით სამოქმედო გეგმა, შესაბამისად ბაღები მომზადდა ქვეყანაში არსებული/დამტკიცებული რეგულაციების დაცვისთვის. მიმდინარე წელს COVID-19 გამოწვეული პანდემიის გამო სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში საგანმანათლებლო პროცესმა გადაინაცვლა ონლაინ რეჟიმში. ამის პარალელურად ყველა საბავშვო ბაღის გათბობის ცენტრალური სისტემისათვის აშენდა 812 83.77 ლარის ღირებულების საქვაბეები. ბაღებში დამონტაჟდა ელექტრო ქურები 38 633 ლარის ღირებულების. ქალაქ დმანისის N1 ბაღში კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის (Cenn) დაფინანსებით განხორციელდა საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაცია. დაიწყო ქალაქ დმანისში ორი ბაღის N1 (470 777 ლარი) და N2 (749 990 ლარი) ბაღის, ასევე სოფელ ჯავახის (267299 ლარი) და სოფელ განთიადის ბაღების (530153.61 ლარი) სრული რეაბილიტაცია. ყველა ბაღის წარმომადგენელთან ერთად ვიმუშავეთ და ვიმსჯელეთ ავტორიზაციისათვის საჭირო პირობების განხორციელების გზებზე, ბაღების რეაბილიტაციის პროექტებზე. ყველა საბავშვო ბაღიდან წარმოდგენილი იქნა დეტალური აღწერილობა იმ საჭიროებებისა რასაც ითვალისწინებს ადრეული და

სკოლამდელი აღზრდის კანონი, ავტორიცაზიის პირობის გათვალისწინებით. ინფორმირებულობის დონის შეფასების მიზნით ჩატარდა ბაღის გამგეთა ტესტირება. ასევე, გაიწერა 2021 წლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების სამოქმედო გეგმა, რომლის თანახმადაც სწავლის ხარისხისა და საგანმანათლებლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით დაიგეგმა მთელი რიგი ღონისძიებები, რომელშიც ჩართულნი იქნებიან როგორც პერსონალი, ასევე მშობლები და აღსაზრდელები. რაც შეეხება კულტურულ, სახელოვნებო და სპორტულ დაწესებულებებს. COVID-19 ით გამოწვეული ეპიდემიოლოგიური ვითარებიდან გამომდინარე მიმდინარე წლის მარტიდან აღნიშნულ ზოგ დაწესებულებებში საგანმანათლებლო/ სააღმზრდელო პროცესი შეძლებისდაგვარად მიმდინარეობდა ონლაინ რეჟიმში, ზოგან კი სწავლება შეჩერებულ იქნა.

ააიპ „დმანისის საგანმანათლებლო ცენტრი„ წარმოადგენს სკოლის გარეშე სასწავლო დაწესებულებას, სადაც მოსწავლეები ეუფლებიან ქართულ და უცხო ენას. მოსწავლეები ქ. დმანისის გარდა ახლომდებარე სოფლებიდანაც დადიან და მათ ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს ცენტრის ავტობუსი. ასევე „დმანისის საგანმანათლებლო ცენტრის“ ბაზაზე ჩამოყალიბებულია „დმანისის ახალგაზრდული კლუბი“, რომელშიც ჩართულები არიან დმანისის ახალგაზრდები. პროექტის მიზანს წარმოადგენს ზოგადად ახალგაზრდების სამოქალაქო განათლების ხელშეწყობა, რომელიც შეეხება სამოქალაქო აქტივიზმს, ოჯახში ძალადობას, ნაადრევ ქორწინებასა და გარემოს დაცვის შესახებ ცნობიერების ამაღლებას. 2020 წლის მონაცემებით ცენტრში ირიცხება 185 მოსწავლე. ცენტრი ადგილობრივი ბიუჯეტის გარდა ღებულობს შემოწირულობას აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ნავთობის კომპანიის წარმომადგენლობიდან. მიმდინარე წელს ქვეყანაში შექმნილი ეპიდემიოლოგიური ვითარებიდან გამომდინარე სწავლება მიმდინარეობდა მხოლოდ წლის დასაწყისში (იანვარი- თებერვალი) და ოქტობრის თვეში.

ა(ა)იპ დმანისის კულტურისა და ხელოვნების ცენტრის მიმდინარე წელს ბიუჯეტი შეადგენდა 310900 ლარს (297 000 ლარი სუბსიდია, 13 900 ლარი მშობელთა შემონატანები (აქედან 4 400ლარი 2019 წლის შემონატანების ნაშთი)). აქედან 16 ნოემბრის მონაცემებით, გახარჯულია 242 976.35 ლარი (თანამდებობრივი სარგო - 101 687 ლარი, შტატგარეშე მოსამსახურეთა ანაზღაურება - 103 139 ლარი, მივლინება - 414 ლარი. ოფისის ხარჯი: წყალი - 719.28 ლარი, ელ. ენერგია - 2 050. 46 ლარი, ბუნებრივი აირი - 12 868 ლარი, ინტერნეტი - 1039.40 ლარი, ტრანსპორტით მომსახურება - 6115.56 ლარი და

სხვა განხორციელებული შესყიდვები). 2020 წლის 1 იანვრიდან 02 მარტამდე ცენტრის სტუდიებში (ხატვა, თექა, ხეზე კვეთა, ქართული ხალხური სიმღერების, ქართული ხალხური ცეკვების, სამეჯლისო და სპორტული ცეკვების, საესტრადო სიმღერების, ხალხური საკრავების, საგალობლების და თეატრალური) ირიცხებოდა 348 მოსწავლე, თუმცა ქვეყანაში შექმნილი ეპიდემიოლოგიური სიტუაციის გამო 15 სექტემბრიდან, სწავლის განახლების შემდგომ, ცენტრში სწავლა განაგრძო (ჩარიცხულ იქნა) მხოლოდ 324 მოსწავლემ. 2020 წლის განმავლობაში, რეგულაციების დაცვით, განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

1. 14 იანვარი - საესტრადო სტუდია „მიქსი“-ის სოლო-კონცერტი;
2. 04 თებერვალი - ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით ააიპ „დმანისის საგანმანათლებლო ცენტრში“ ჩატარდა პროექტი „ეტალონი“, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს დმანისის საჯარო სკოლების მოსწავლეებმა. გაიმარჯვა ქალაქ დმანისის N2 საჯარო სკოლის მოსწავლემ აინურ ელლაზოვამ;
3. 22 თებერვალი - ქ. ზესტაფონი - საერთაშორისო ფესტივალი „არცერთი წამი ცეკვის გარეშე“, სადაც მონაწილეობა მიიღო ცენტრთან არსებული ქორეოგრაფიული სტუდიის ანსამბლმა „დმანისმა“;
4. 3 ივლისი- ცენტრის თანამშრომლების მიერ მოეწყო ისტორიულ-არქეოლოგიური ძეგლების დასუფთავების აქცია. დასუფთავდა ამამლოს მე-12- 13 სს. თამარის საყდარი და სოფელ ოროზმანის გვიანი შუასაუკუნეების ეკლესია;
5. 24 ივლისი - ქალაქ დმანისის ცენტრალუს სკვერში გაიმართა საქველმოქმედო კონცერტი და გამოფენა-გაყიდვა, პატარა დმანისელის დემეტრე ბეჟუაშვილის დასახმარებლად;
6. 01 ოქტომბერი - ხანდაზმულთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით 10 სოციალურად დაუცველი ხანდაზმულისთვის შეძენილ იქნა სურსათის სასაჩუქრე კალათები; სხვადასხვა ღირშესანიშნავ დღეებთან დაკავშირებული ცენტრის ონლაინ

აქტივობები:

- სახელმწიფო ენის დღისადმი მიძღვნილი თეატრალური სტუდიის „ბერიკები“ აღსაზრდელების მონაწილეობით შექმნილი სიუჟეტი;
- აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებული ონლაინ-გამოფენა - სადაც ხატვის, ხეზე კვეთისა და ხალხური რეწვის სტუდიების აღსაზრდელთა მიერ შექმნილი თემატური ნამუშევრების გამოფენა;

 18 მაისი - მუზეუმის საერთაშორისო დღე - ააიპ დმანისის კულტურისა და ხელოვნების ცენტრის ორგანიზებითა და დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, გაიმართა კულტურისა და ხელოვნების ცენტრთან არსებული არქეოლოგიური საექსპოზიციო დარბაზის ონლაინ ტური.
 საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებული ღონისძიება- მომზადდა ვიდეო-ჩანაწერები ქალთა ფოლკლორული ანსამბლის ,,ირინოლას“, თეატრალური სტუდიის ,,ბერიკების“, საესტრადო სტუდიის ,,მიქსის“, ხატვის და ხეზე კვეთის სტუდიების
მონაწილეობით; ააიპ „დმანისის კულტურისა და ხელოვნების ცენტრთან“ არსებული ბავშვთა თეატრალური სტუდია ბერიკების მონაწილეობით მომზადდეა ლიტერატურული კომპოზიციის ვიდეო-ჩანაწერი, სადაც აღსაზრდელებმა წარმოადგინეს მოკლე ჩანატახები საქართველოს ისტორიიდან, დაწყებული ფარნავაზ მეფიდან - საქართველო- ევროკავშირის ასოცირების შეთანხმებამდე.
 სახალხო დღესასწაული „დმანისობა“ ცენტრის სტუდიების მონაწილეობით გადაღებული იქნა მისალოცი ვიდეო-რგოლები რომლებიც მთელი დღის განმავლობაში იყო განთავსებული ცენტრის ფბ- გვერდზე.
 ანიმაციური ფილმების ფესტივალი „თოფუზი“ - ცენტრმა ააიპ „პირველი ევროპელის“ მხარდაჭერით უპასპინძლა ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალ „თოფუზს“. მუნიციპალიტეტის მერიის ინიციატივითა და არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის (Cenn) დაფინანსებით ხორციელდება კულტურისა და ხელოვნების ცენტრის სარეპეტიციო დარბაზის სველი წერტილების კეთილ- მოწყობა.
ააიპ „დმანისის საბიბლიოთეკო სამსახურში“ შედის ცენტრალური ბიბლიოთეკა და სოფელ განთიადის, სოფელ ვარდისუბნის, სოფელ გომარეთისა და სოფელ ამამლოს ბიბლიოთეკები. მიმდინარე წლის ბიუჯეტი შეადგენს 95 000 ლარს. ბიბლიოთეკამ 2020 წელს სამეცნიერო ბიბლიოთეკიდან მიიღო 1150 ლარის ვაუჩერი, რომლის საშუალებითაც ეტაპობრივად ახორციელებს სამეცნიერო წიგნების ცენტრალურ ბიბლიოთეკის მომსახურების განყოფილების წიგნადი ფონდში არის 23385 წიგნი, თანხით 53 587.18 ლარი. მიმდინარე წელს წიგნადი ფონდი გაიზარდა 81 წიგნით, რომლის ღირებულება შეადგენს 887.80 ლარს, ამასთან ბიბლიოთეკას წელს ჰყავდა 278 მკითხველი. საბავშვო განყოფილების, 2020წლის აგვისტოს თვიდან, დაემატა ბიბლიოთეკარის შტატი. განყოფილებამ 2020 წელში მიიღო 722.58 ლარის

ღირებულების 76 წიგნი. დღეისათვის აქვს 22119 ლარის ღირებულების 7783 წიგნი და ჰყავს 270 მკითხველი.
განთიადის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შედგება 1375 წიგნისგან, აქედან მიმდინარე წელს მიიღო 758 ლარის ღირებულების 75 წიგნი. დღეისათვის აქვს ბიბლიოთეკას ჰყავს 82 მკითხველი.
დიდი დმანისის ბიბლიოთეკამ 2020 წელს მიიღო 810.70 ლარის ღირებულების 78 წიგნი. დღეისათვის აქვს 4777წიგნი(16 606.12ლ) და ჰყავს 84 მკითხველი.
სოფელ ამამლოს ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდში წარმოდგენილი 2896 წიგნი - (თანხით 4924.26ლ) და ჰყავს 61 მკითხველი.
სოფელ გომარეთის ბიბლიოთეკამ 2020 წელს მიიღო 1230.90 ლარის ღირებულების 118 წიგნი. დღეისათვის აქვს 7664 წიგნი(20374.41 ლ). დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსხურის ინიციატივით შეიქმნა დმანისის საბიბლიოთეკო სამსახურის ფბ-გვერდი, რომელიც ხელს შეუწყობს აღნიშნული სამსახურის ცნობადობის გაზრდასა და წიგნის კითხვის პოპულარიზაციას.
ა(ა)იპ დმანისის სამუსიკო სკოლის 2020 წლის ბიუჯეტის მოცულობა განსაზღვრულია 105 935 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნული თანხა წარმოადგენს როგორც მუნიციპალურ სუბსიდიას, ასევე მშობელთა შემონატანებს. იანვრიდან დღემდე ფაქტიური ხარჯები შეადგენს 76 059 ლარს (ხელფასები, კომუნალური ხარჯი, სამეურნეო და სხვა ხარჯი). სკოლასა და მის ფილიალებში 2020/2021 სასწავლო _____წლის კონტიგენტია 71 მოსწავლე. (ქ.დმანისის სკოლა- 31 მოსწავლე, სოფ. განთიადის განყოფილება - 16 მოსწავლე, სოფ. ვარდისუბნის განყოფილება - 24 მოსწავლე). აქედან 19 სოციალურად დაუცველი მოსწავლე გათავისუფლებულია გადასახადისგან. 2019 / 2020 სასწავლო წელი დაამთავრა 5 (ხუთმა) კურსდამთავრებულმა. ახალი ,,covid-19”-ის პანდემიამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა სამუსიკო სკოლის სწავლების პროცესზე და საერთოდ სკოლის მუშაობაზე, რომელიც მიმდინარე წლის განმავლობაში მხოლოდ 3 თვეს მოიცავს (იანვარი, თებერვალი, ოქტომბერი).
ააიპ ომარ მუმლაძის სახელობის დმანისის სპორტული სკოლის მიმდინარე წლის ბიუჯეტი შეადგენს 190 000 ლარს. დაწესებულება უზრუნველყოფს სპორტული სექციების მუშაობას სპორტის 8 სახეობაში (ქართული ჭიდაობა, ძიუდო, სამბო, ფეხბურთი, კრივი, კიკბოქსინგი, კარატე, ჭადრაკი) 5 სპორტულ ობიქტზე. სკოლა ემსახურება სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის ბენეფიციარებს.

სკოლაში დღეის მონაცემებით ირიცხება 192 აღსაზრდელი. სკოლა გეგმავს და ახორციელებს ღონისძიებებს ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვისა და პოპულარიზაციის მიმართულებით. სკოლა წლის დასაწყისში კალენდარული გეგმის შესაბამისად მონაწილეობდა შიდა და გასვლით შეჯიბრებებში, როგორც არის ძიუდოს საქართველოს ჩემპიონატი, რეგიონული ჩემპიონატი და სხვა. თებერვალში ძიუდოს ჯგუფის აღსაზრდელებმა საბა მუმლაძემ და მერაბ კვიციანმა მონაწილეობა მიიღეს უმცროსი ასაკის ჭაბუკებს შორის საქართველოს ჩემპიონატში. საბა მუმლაძემ ასევე წარმატებით იასპარეზა რუსთავის ბადრი ყაველაშვილის სახელობის საერთაშორისო ტურნირზე და მოიპოვა პირველი ადგილი. ამავე ტურნირზე მესამე ადგილი დაიკავა რიჩარდ ფოლადიშვილმა. ა(ა)იპ „ომარ მუმლაძის სახელობის დმანისის სპორტული სკოლასთან“ არსებული ფეხბურთის სექციის აღსაზრდელებმა მონაწილეობა მიიღეს ვლადიმერ ბარქაიას სახელობის ჩემპიონატში. გარდა ზემოთ აღნიშნულისა განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური აქტიურად იყო ჩართული მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარებისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელებაში. კერძოდ, მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის წარმოჩენისა და კულტურული ძეგლების პოპულარიზაციის მიზნით დამზადდა 2420 ლარის ღირებულების სამი ბანერი, რომლებიც განთავსდა მუნიციპალიტეტის ტურისტულად სტრატეგიულ შემოსასვლელებში. მოხდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სასტუმროებისა (ამასთან საოჯახი ტიპის) და კვების ობიექტების აღწერა, დასურათება, ბაზის შექმნა. მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურთან თანამშრომლობით გამზადდა ტურისტული პროექტები როგორიც არის: ბილიკები და მანიშნობლები, საპიკნიკე სივრცეები, ლუკუმის მთის გადმოსახედი, სოფ. პატარა დმანისის მიმდებარედ არსებული აბანოების ხიდი, დმანისის ნაქალაქარის მიმდებარე ტერიტორიის, აგრეთვე ციტადელის განათება. შიდა ტურიზმის განვითარების ხელშეწყობისა და ახალი ტურისტული პრიდუქტის შექმნის მიზნით მიმდინარე წლის 24 აგვისტოს საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. დმანისის მუნიციპალიტეტის კულტურული ძეგლების პოპულარიზაციის მიზნით ვუპასპინძლეთ ფოტო ხელოვანებს. განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურმა მუნიციპალურად კოორდინირება გაუწია ორგანიზაცია „ტურიზმი და რეალობის“ რეგიონულ პროექტს „ქვემო ქართლის რეგიონში ტურისტული ბიზნესის განვითარება, როგორც სიღარიბის დაძლევისა და

შემოსავლების გენერირების საშუალება“. პროექტი ხორციელდებოდა გაეროს რეგიონული და ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოსა (SDS) და ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის (ADC) ფინანსური მხარდაჭერით. პროექტის ფარგლებში მუნიციპალიტეტის მასშტაბით დაფინანსდა სამი ბიზნეს-გეგმა. მთელი წლის განმავლობაში სამსახურის სპეციალისტებთან ერთად ააიპ- ებში სისტემატურად ვახორციელებდით მონიტორინგს, მათი საჭიროებების კვლევას, ვმუშაობდით წესდებების ცვლილებებსა და შიდა ორგანიზაციული პრობლემების მოგვარებაზე, ასევე აიპების სამომავლო სტრატეგიული განვითარების გეგმებზე.

5.დმანისის მუნიციპალიტეტის ჯანმთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის ანგარიში

მიმდინარე წლის განმავლობაში მერიაში 7 პროგრამა მოქმედებდა.

წლის განმავლობაში ერთჯერადი ფინანსური დახმარების პროგრამით ისარგებლა 670 - მა ბენეფიციარმა;

ფენილკეტონურიით დაავადებულ 4 ბავშვზე წლის განმავლობაში სპეციალური კვების პროდუქტების შესაძენად 8 000 ლარი გამოიყო წარმოდგენილი დოკუმენტების შესაბამისად (თითოეულ ბავშვზე 2 000 ლარის ოდენობით).

სტაციონარულ ამბულატორიული პროგრამის ფარგლებში გაიხარჯა წლის განმავლობაში 307 000 ლარი, დახმარება გავუწიეთ 472 ბენეფიციარს; მოვითხოვეთ დამატებით თანხები კიდევ 30 000 ლარის ოდენობით გაზრდილი მომართვიანობის გამო.

დიალიზის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში 18 ბენეფიციარს ყოველთვიურად ანგარიშზე ერიცხებოდათ 100 ლარის ოდენობა, ასევე COVID – 19 - ის პანდემიის პირობებში მათ ყოველ კვირას (10 მათგანს) პირად ანგარიშზე ერიცხებოდა 150 ლარის ოდენობა. ისინი ასევე სარგებლობენ ,,ტრანსპორტით მომსახურების მუნიციპალური პროგრამით“, მგზავრობენ თბილისი დმანისი - დმანისი თბილისის მიმართულებით კვირაში სამჯერ; ივნისის თვინდა კი ყოველ ოთხშაბათს დმანისი - მარნეული - დმანისის მიმართულებით ასევე მუნიციპალური ტრანსპორტით.

პანდემიის პირობებში შექმნილი კრიზისული სიტუაციიდან გამომდინარე სამსახური აქტიურად იყო ჩართული იმ გადამწყვეტ ღონისძიებებში,

რომელსაც ახორციელებდა როგორც ცენტრალური, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობა. მერიაში ამოქმედებულ ,,ცხელ ხაზზე“ შემოსული შეტყობინების 85 % გვარდებოდა სოციალური სამსახურის მიერ (ფინანსური დახმარება, მარტოდ დარჩენილი მოხუცების მედიკამენტებით უზრუნველყოფა, საწვავი შეშით მომარაგება, ავადმყოფთა გადაადგილება ქ. თბილისში მდებარე კლინიკებში საშვების საშუალებით); შეიქმა ბაზა იმ პირების რომლებმაც პანდემიის პირობებში სსხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებიდან მიიღეს ჰუმანიტარული დახმარებები (საკვები პროდუქტები, ჰიგიენური საშუალებები).

რაც შეეხება ტრანსპორტით მომსახურების მუნიციპალურ პროგრამას სარგებლობენ პროგრამით გათვალისწინებული ბენეფიციარები (სტუდენტები, ვეტერანები, დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული მოქალაქეები, უსინათლოები), ყოველ თვე მგზავრთა ნაკადი საშუალოდ შეადგენს 35 ბენეფიციარს (პროგრამით უზრუნველყოფისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა შეადგენს 70 000 ლარს, პროგრამას წლის განმავლობაში კურირებას უწევდა პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი რომან დევნოზაშვილი. მგზავრობა შეწყდა მხოლოდ პანდემიის პირობებში დაწესებული შეზღუდვების პერიოდში.

მიმდინარე წელს საწვავი შეშით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში ვეხმარებით 169 ბენეფიარს, (წელს საწვავი შეშა ჩავანაცვლეთ ბიოსაწვავი ბრიკეტით და მიმდინარეობს გაცემის პროცესი), პროგრამისათვის განკუთვნილი თანხა შეადგენს 42 952 ლარს. პირველ ეტაპზე განაწილდა 30 ტნა ბრიკეტი, 19 ნოემბერს მოხდება დარჩენილი ნაწილის გაცემა.

დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის დაემატა ბავშვთა უფლებათა დაცვისა და ბავშზე ზრუნვის განყოფილება.

შემოსული განაცხადების შესაბამისად წლის განმავლობაში ასოციაციამ ,,საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ 7 შშმ პირის დოკუმენტაცია იქნა განხილული და საჩუქრად გადაეცათ გადასაადგილებელი ეტლები; დასამკაყოფილებელია კიდევ ერთი მოქალაქის განაცხადი.

9 მაისს ფაშიზმზე გამარჯვების დღესთან დაკავშირებულ ღონისძიებაში ჯანმრთელობისა და სოცილაური დაცვის სამსახური აქიტიურად იყო ჩართული. 3 მეორე მსოფლიო ომის ვეტერანს გადაეცათ 100 ლარის ფარგლებში საკვები პროდუქტები.

აფხაზეთის ომში მონაწილე 12 შშმ ვეტერანზე იქნა გაცემული ერთჯერადი მატერიალური დახმარების სახით 200 ლარი 27 სექტემბერს აფხაზეთის დაცემის დღესთან დაკავშირებით.

სამსახური წლის განმავლობაში აქტიურად იყო ჩართული ტრეინინგ კურსებზე, რომელსაც ატარებდა ,,საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაცია".

დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ იძულებით გადაადგილებულ პირებს ჩვენს მიერ მოპოვებული ინფორმაციით დაახლოებით 20 ოჯახს გადაეცემათ საცხოვრებელის ბინები მარნეულში შესაბამის უწყებასი შეტანილი განაცხადების საფუძველზე. ინფორმაციის შეგროვებას ახდენს სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი დალი კვიაციანი.

თვეში ერთხელ ხდებოდა მონიტორინგი ,,სათნოების სახლის", სადაც 50 ბენეფიციარი იღებს ცხელ სადილს ყოველდღიურად.

ასევე მიმდინარეობდა აქტიური მინიტორინგი ყოფილი რაიონული საავადმყოფოს შენობაში თვითნებულად შეჭრილი მოსახლეობისა, გვაქვს აღრიცხული ფაქტიურად მცხოვრებტა ბაზა, რომლებიც ისარგებლებენ მუნიციპალური შეღავათებით (მერია ხელს უწყობს შენობაში მცხოვრებთა ბუნებრივი აირით მომარაგებას).

სამსახურში მოქმედებს ორი პროგრამა - საქმის წარმოების ელექტრონული სისტემა და მოქალაქეთა მომსახურების სისტემა, ორივე პროგრამაში საქმეები სრულდება ვადების მკაცრი დაცვით.

მე, სამსახურის უფროსი მერს წარვუდგენ ყოველთვიური საქმიანიბის ანგარიშს.

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური (კომისიის თავმჯდომარე სამსახურის უფროსი - მეგი ედიბერიძე) გაცნობებთ, რომ დმანისის მუნიციპალიტეტის მიენიჭა რა მაღალმთიანი დასახლების სტატუსი, დღეის მდგომარეობით შედგა 44 სხდომა, დადებითად დასრულდა 2769 შემოტანილი განაცხადი, უარყოფითად - 5, მონიტორინგის საფუძველზე სტატუსი შეუწყდა 10 მოქალაქეს, შეჩერებული სტატუსის აღდგენა მოხდა 1 მოქალაქეზე.

ასევე სამსახური ჩართული იყო სხვადასხვა ორგანიზაციებთან, რომლებიც დმანისის მუნიციპალიტეტში ატარებდნენ ტრეინინგებს და ხელს უწყობდნენ სხვადასხვა სახის სოციალური საინფორმაციო პროგრამების განხორციელებას (ა/ო ,,კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციათა ქსელი - CENN", რომელმაც მოახდინა ქ. დმანისის N1 საბავშვო ბაღის საკანალიზაციო

სისტემის შეკეთება; ,,აზერბაიჯანელ ქალთა კავშირი“, რომელიც სოფლად მცხოვრებ ქალების გააქტიურებას უწყობდა ხელს.

6. საფინანსო საბიუჯეტო სამსახური

დმანისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტი დამტკიცებულია დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 13 დეკემბრის N24 დადგენილებით ორგანიზაციული და ფუნქციონალური კლასიფიკაციის ჭრილში ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების გათვალისწინებით, რომლის მოცულობა შეადგენს 9738,8ათასი ლარს, მათ შორის: გადასახადები 7623,8 ათასი ლარი, გრანტები - 130,0 ათასი ლარი, სხვა შემოსავლები - 1985,0ათასი ლარი .

საანგარიშო პერიოდში დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შესაბამისი დადგენილებით შეტანილი იქნა ცვლილება დმანისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტში შვიდჯერ;

აქედან საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 დეკემბრის N2630 განკარგულების, 2019 წლის 31 დეკემბრისN2752 განკარგულების და 2020 წლის 18 მარტის N551 განკარგულების, 2020 წლის 9 იანვრისN27 განკარგულების, და 2020 წლის 16 ივლისის N1250 განკარგულების საფუძველზე,ხოლო სხვა შემოსავლების ზრდის შედეგად ერთხელ ასევე ერთხელ ხარჯების შიდა გადაადგილებით, რომლის შემდგომ

წლიური შემოსულობები და გადასახდელების მოცულობა განისაზღვრა 24087,6ათასი ლარის ოდენობით. დმანისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის 9 თვის ბიუჯეტის შემოსულობების საკასო შესრულებამ შეადგინა 53,5 % (გეგმა - 21794,7ათასი ლარი, ფაქტი - 11656,4ათასი ლარი) მათ შორის:

ა) დამატებითი ღირებულების გადასახადი შესრულებულია 99,3%(გეგმა - 3951,5ათასი ლარი - ფაქტი 3925,3ათასი ლარი).

ბ) ქონების გადასახადი 90,7% (გეგმა1142,5ათასი ლარი, ფაქტი 1036,7ათასი ლარი)

გ) გრანტები-სახელმწიფო ბიუჯეტიდან ტრანსფერები მიღებულია48,3% (გეგმა - 6066,1 ათასი ლარი, ფაქტი - 2930,4ათასი ლარი)

დ) სხვა შემოსავლები შესრულებულია 106% (გეგმა - 3524,5ათასი ლარი, ფაქტი - 3736,9ათასი ლარი), აქედან ძირითადად შემოსულია მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის 2712,1ათასი ლარი, RMG GOLD-ის მიერ გადახდილი თანხის შედეგად კომერციული ბანკში განთავსებულ

ანგარიშზე დარიცხული პროცენტებიდან 226,1ათასი ლარი და ტრანსფერები,რომლებიც არ არის კლასიფიცირებული მიღებულია 548,9 ათასი ლარი,მათ შორის:

ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოდან 217,6 ათასი ლარი და წინა წელს გამოუყენებელი და დაბრუნებული საბიუჯეტო სახსრები 331,0 ათასი ლარი ,ხოლო ჯართის რეალიზაციიდან 0,3 ათასი ლარი.

ე) შემოსავალი მიწის იჯარიდან მიღებულია 150,6 ათასი ლარი, რაც დაგეგმილი მაჩვენებლის 68,5%-ია (გეგმა220,0 ათასი ლარი, ფაქტი 150,6ათასი ლარი).

საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან შემოსულია 31,5ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 52,5%-ია (გეგმა60,0 ათასი ლარი, ფაქტი31,5 ათასი ლარი), ხოლო ჯარიმები, სანქციები და საურავებიდან შემოსულია 56,7ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 75,2%-ია (გეგმა90,0 ათასი ლარი, ფაქტი 67,7ათასი ლარი), და ძირითადი აქტივების გაყიდვიდან 3,0ათასი ლარი, ხოლო მიწის გაყიდვიდან 24,2ათასი ლარი.

დმანისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის 9 თვის ბიუჯეტის გადასახდელები ათვისებულია 59% (გეგმა21794,7ათასი ლარი, ფაქტი 12854,1ათასი ლარი), მათ შორის:

- წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების შენახვის ხარჯები 78,3% (გეგმა - 2177,2ათასი ლარი, ფაქტი - 1705,0 ათასი ლარი).

- ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხარჯები 92 % (გეგმა 58,0 ათასი ლარი, ფაქტი - 53,4ათასი ლარი).

- ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის ხარჯები - 55,1% (გეგმა - 16792,8ათასი ლარი, ფაქტი - 9254,7 ათასი ლარი). მათ შორის არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი შესრულებულია 51,3% (გეგმა 16220,5 ათასი ლარი,ფაქტი 8325.1 ათასი ლარი) აქედან შესრულებულია:

- გზების მშენებლობა-რეაბილიტაციის არაფინანსური აქტივების ზრდა 48,4% (გეგმა 6619,2 ათასი ლარი, ფაქტი 3200,4 ათასი ლარი).

- სასმელი წყლის სისტემების მშენებლობა -რეაბილიტაცია არაფინანსური აქტივების ზრდა 52,3% (გეგმ- 1829,2 ათასი ლარი , ფაქტი- 956,8 ათასი ლარი).

- კაპიტალური დაბანდებები გარ განათების სფერიში არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 35,8% (გეგმა 461,0 ათასი ლარი ფაქტი 165,2 ათასი ლარი).

- მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების ექსპლუატაცია და რეაბილიტაცია 43,2% (გეგმა 3339,5ათასი ლარი, ფაქტი 1442,7 ათასი ლარი).
- კეთილმოწყობის ღონისძიებები 73,2%(გეგმა 1996,4 ათასი ლარი, ფაქტი 1461,7 ათასი ლარი).
-სოფლის მხარდაჭერის პროგრამა 63,5%(გეგმა 1115,2 ათასი ლარი, ფაქტი 708,6 ათასი ლარი).
- საპროექტო დოკუმენტაციის და საექსპერტო მომსახურება 45,3%(გეგმა 860,0 ათასი ლარი, ფაქტი 389,7 ათასი ლარი).
- საგანმანათლებლო ღონისძიებების ხარჯები - 67,8 % (გეგმა 1177,4 ათასი ლარი, ფაქტი 798,0ათასი ლარი).
- სპორტიული და კულტურული ღონისძიებების ხარჯები 93,1% (გეგმა - 537,3ათასი ლარი, ფაქტი 500,1ათასი ლარი).
- სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების განხორციელებისთვის 86,4% (გეგმა - 628,3 ათასი ლარი, ფაქტი 542,9ათასი ლარი).
- ზემოთ აღნიშნული ფაქტიური ხარჯებიდან;
ა) შრომის ანაზღაურებაზე გაცემულია 1035,7ათასი ლარი, რაც მთლიანი ხარჯების 8,1% შეადგენს.
ბ) საქონელი და მომსახურების ფაქტიური ხარჯების მოცულობამ შეადგინა 1098,8ათასი ლარი ანუ მთლიანი ხარჯების 8,6%, აქედან: შტატგარეშე დასაქმებულ თანამშრომლებზე -0,6%, ოფისის ხარჯები - 2,7 %, ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის მოვლა-შენახვის ხარჯები - 1,0%, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურებაზე - 3,5%, სამივლინებო ხარჯები 0,1%და რბილი ინვენტარის ხარჯები 0,1%
გ) ააიპ - ების სუბსიდირებაზე გაცემულია - 1261,8 ათასი ლარი რაც მთლიანი ხარჯების 9,8 %-ია.
დ) სოციალური უზრუნველყოფის მუხლით გათვალისწინებული ხარჯები გაცემულია 442,0ათასი ლარი,რაც მთლიანი ხარჯების 3,4%-ია.
ე) სხვა ხარჯების მუხლით გაცემულია - 86,3 ათასი ლარი რაც მთლიანი ხარჯების 0,7%-ია.
ვ) არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით დაფინანსებულია - 8855,4 ათასი ლარი,რაც მთლიანი ხარჯების 68,9%-ია.
ზ) რბილი ინვენტარის შეძენის ხარჯები გაცემულია 3,6 ათასი ლარი.
ი)გრანტი გაცემულია 28,9 ათასი ლარი,ანუ მთლიანი ხარჯების 0,2% და გრანტზე დარიცხული პროცენტი 0,1%.

დმანისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის 9 თვის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან მერიის შესაბამისი ბრძანებების საფუძველზე გაცემულია 141,6 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

-ქ.დმანისში თიკანაძის ქ.N5-ში და ც.დადიანის ქ.N24-ში მცხოვრებლების ეზოში გამავალი საკანალიზაციო დაზიანებული მილების აღსადგენად 550 ლარი.

-სოფ.იფნარში და სოფ. მამულოში არსებული სარიტუალო დარბაზის სარეაბილიტაციოდ მასალების შესაძენად 10808 ლარი.

-სოფ.გომარეთში,სოფ.დიდ დმანისში,სოფ.შინდლარში და ქ.დმანისში მცხოვრებლების მკურნალობისათვის გაცემულია ერთჯერადი სახით 5750 ლარის დახმარება.

-სარიტუალო ხარჯები გაცემულია7420 ლარის ოდენობით სოფ. პ. დმანისში, სოფ.

განთიათში,სოფ.დიდდმანისში,სოფ.სარკინეთში,.სოფ.ბოსლებში,სოფ.ირგანჩაი ში, სოფ.ბაზაქ-ლოში, სოფ.დაგარახლოში, ქ. დმანისში, გარდაცვლილი 28 მოქალაქის

დაკრძალვისთვის.

-ხანძრის შედეგად მიყენებული ნაწილობრივი ზარალის ასანაზღაურებლად გაცემულია სოფ. ამამლოში, სოფ. ბოსლებში, სოფ. ქვემო ოროზმანში და ქ. დმანისში 9 ძმა ხერხეულიძის

ქ-№20-ში და დემეტრე თავდადებულის ქ-№9-ში მცხოვრებისთვის 4470 ლარი.

-2020 წლის 6 თებერვალს ძლიერი ქარის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლების სახურავების აღსადგენად ქ. დმანისში, სოფ. მაშავერაში, სოფ. დიდ დმანისში, სოფ. ლოქჭანდარში, სოფ. ზემო კარაბულახში, სოფ. იაღუფლოში, სოფ მამიშლარში, სოფ გოდაგტაში, სოფ. ბოსლებში და სოფ ვარდისუბანში მცხოვრები მოქალაქეებისათვის ერთჯერადი სახით გაცემულია 21954 ლარი დეფექტური აქტების საფუძველზე.

-გერმანიაში ქ. დიუსელდორფში გრანდ სლემის ტურნირზე ძიუდოისტი ბაგრატ ნინიაშვილის მონაწილეობის მისაღებად მისი პირადი მწვრთნელის ბესიკ ასლანოვის გასამგზავრებლად ერთჯერადი დახმარების სახით გაცემულია 4000 ლარი.

-„დმანისის ნაქალაქარის“ წიგნის დასაბეჭდად შპს „წიგნი-ერის“ ანგარიშზე გადარიცხულია 2500ლარი.

-2020 წლის 6 თებერვლის ძლიერი ქარის შედეგად დაზიანებული ქ.დმანისში საცხოვრებელი კორპუსში მცხოვრები მოქალაქეების ქონების დაზიანების თავიდან აცილების მიზნით ტენტის შესაძენად გაცემულია 1500 ლარი.

-საქართველოში კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით სხვადასხვა საშუალებების შესაძენად გახარჯულია24252ლარი.

-წიგნის დასაბეჭდად „ დამლოცე თქვენო უწმინდესობავ“ 50 ეგზეპლეარის შეძენისათვის გაცემულია 1750 ლარი.

-სოფ. მთისძირში და სოფ. იფნარში ზეხმელი და ავარიული ხეების მოჭრისათვის გაცემულია 4120 ლარი და სოფ.დიდ დმანისში მცხოვრები მანანა და მაყვალა სელიმაშვილებისათვის შეშის შესაძენად 400 ლარი.

-დიალეზით მოსარგებლე პირების საავადმყოფოში გადაადგილებისათვის ტრანსპორტის დაქირავების მიზნით გაცემულია 14100ლარი .

-2019 წლის 22 ნოემბერს ააიპ „დამოუკიდებელ ბავშვთა და სტუდენტთა გაერთიანების მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაზე „გაიცანი ევროპა და განავითარე შენი რაიონი დმანისი“

ქ.დმანისში წმინდა ნინოს ჩიხი №3-ში და ჭავჭავაძის ქ. №26-ში მცხოვრებლების მიერ მოპოვებული საგზურის ნაწილობრივი დაფინანსებისათვის ერთჯერადი სახით გაცემულია 300 ლარის ოდენობით (თითოეულზე 150 ლარის ოდენობით) დმანისის მუნიციპალიტეტში შემავალ სოფლებში მცხოვრები მოქალაქეებზე ერთჯერადი სახით გაცემული დახმარებები მედიკამენტების და საკვები პროდუქტების შეძენის მიზნით 20 მოქალაქეზე 4000 ლარი.

დიდი სამამულო ომის 2 ვეტერანზე ერთჯერადი სახით გაცემულია 2000 ლარი (თითოეულზე 1000 ლარის ოდენობით)

ქ.დმანისში წმ.ნინოს ქუჩა N7 მცხოვრების პავლე ბეჟუაშვილის შვილის ერთჯერადი დახმარება საზღვარგარეთ მკურნალობისათვის 5000 ლარი.

ქ.დმანისში მცხოვრებლების საცხოვრებელი სახლების 2020 წლის 21 აგვისტოს ძლიერი სეტყვის შედაგად დაზიანებული სახურავების აღდგენის მიზნით 25 მოქალაქეზე ერთჯერადი დახმარების სახით გაცემულია 21530 ლარი.

გათბობის სისტემისათვის ანტიფრიზის შესაძენად 2400 ლარი.

დმანისის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსწავლეების 16 მედალოსნის და 2 ხელმძღვანელის მარტვილის კანიონში ორდღიანი ექსკურსიის დაფინანსებისათვის 2616 ლარი.

8 აგვისტოს რუსეთ საქართველოს ომის დროს დაღუპულთა ხსოვნის დღესთან დაკავშირებიტ მემორიალის შესამკობად გვირგინის შესაძენად 100 ლარი.

2020 წლის 1-ლი ოქტომბრის მდგომარეობით სარეზერვო ფონდის ნაშთი შეადგენს 28,4 ათას ლარს.

7.ეკონომიკის სამსახურის ანგარიში

2020 წლის განმავლობაში ეკონომიკის სამსახურის მიერ განხორციელებული სამუშაოები:

1. აუქციონის წესით იჯარით გაიცა 16 სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, საიდანაც შემოსულმა თანხამ შეადგინა-30178 (ოცდათიათასასსამოცდათვრამეტი) ლარი.
2. პირდაპირი განკარგვის წესით გაიცა-21 სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, საიდანაც შემოსულმა თანხამ შეადგინა 28235(ოცდარვაათასორასოცდათხუთმეტი) ლარი.
3. აუქციონის მეშვეობით გასხვისდა:

4 ერთეული სატრანსპორტო საშუალება, შემოსულმა თანხამ შეადგინა 18975 (თვრამეტიათასცხრაასსამოცდათხუთმეტი) ლარი.

4. 2 ერთეული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების და 3 ერთეული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები ღირებულებით ჯამში 24270 (ოცდაოთხიათასორასსამიცდაათი) ლარი.
5. შერეული ლითონი, ღირებულებით 9599,70 (ცხრაათასხუთასოთხმოცდაცხრამეტი ლარი და 70 თ) ლარი.
6. დმანისის მუნიციპალიტეტში ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში(სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიაში 2020 წელს შევიდა 51 განცხადება, აქედან დაკმაყოფილდა 3 განცხადება, უარი ეთქვა 41-განცხადებას, განხილვის პროცესშია 7 საკითხი.
7. მუნიციპალიტეტის საკუთრებად დარეგისტრირდა 52 ერთეული უძრავი ქონება.

8. სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური:

დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის მიერ 2020 ექვსი თვის (საგაზაფხულო გაწვევა) სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვეული იქნა 12 წვევამდელი, მ.შ.:
საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებულ ძალებში – 5;
საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებაში - სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში -0;
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გასამხედროებულ ქვედანაყოფებში - 3;
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტში ვადიანი სამხედრო საკონტრაქტო სამსახურის გასავლელად ჩაირიცხა - 4;
,,სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის თანახმად გადავადება მიეცა 55 წვევამდელს, მ.შ.:
ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო - 1;
საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტი - 7;
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლე - 11;
სწავლობს სასულიერო სასწავლებელში - 1;
ჰყავს ერთი შვილი - შვილის შეძენის დღიდან სამი წლის ვადით - 7;
ჰყავს ორი ან მეტი შვილი - 11;
არის დედისერთა - 2;
მუშაობს სოფელში მასწავლებლად - 4;
გადაიხადა სამხედრო სავალებულო სამსახურში გაწვევისაგან საქართველოს კანონით დადგენილი გადავადების მოსაკრებელი 2000 ლარი - 4.
დამატებით სამედიცინო გამოკვლევაზე გაიგზავნა 1 წვევამდელი;
საქართველოს შეიარაღებულ ძალების საკონტრაქტო სამსახურში გასაწვევად შერჩეული 2 კანდიდატის ორ ეგზემპლარად შექმნილი პირადი საქმეები გადაიგზავნა საქართველოს შეიარაღებულ ძალების გენერალურ შტაბში.
სამხედრო აღრიცხვაზე აყვანილი და საქართველოს შეიარაღებული ძალების რეზერვში
ჩარიცხულ იქნა 84 მოქალაქე, მ.შ.:

საქართველოს კანონის ,,სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ 37-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად - 28 მოქალაქე (სამხედრო სავალდებულო სამსახურ გავლილი);
21-ე მუხლის მესამე პუნქტის თანახმად - 56 მოქალაქე (27 წლის ასაკს მიღწეული);
საერთო სამხედრო აღრიცხვიდან მოიხსნა 17, მ.შ.:
რეგისტრაციის ადგილისშეცვლასთან დაკავშირებით - 15;
გადაყვანილ იქნა სპეციალურ აღრიცხვაზე 4 მოქალაქე.
,,სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-
13 და მე-14 მუხლების შესაბამისად პირველად სამხედრო აღრიცხვაზე აყვანილი იქნა 182 მოქალაქე, მ.შ.:
2003 წელს დაბადებული ჭაბუკები - 178 და 3 უფროსი ასაკის ის მოქალაქეები, რომლებიც ადრე სხვადასხვა მიზეზის გამო არ იქნენ აყვანილნი სამხედრო აღრიცხვაზე.
დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის მიერ გაცემული იქნა 65 რეზერვისტის დროებითი მოწმობა, 40 წვევამდელის სამხედრო-სააღრიცხვო მოწმობა და 8 ცნობა სამხედრო ნამსახურობის შესახებ. შესრულებული იქნა 150 სხვადასხვა სახის განცხადება და შემოსული კორესპონდენცია.

9.შიდა აუდიტის სამსახურის 2020 წლის ანგარიში

დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის 2020 წლის სამუშაო გეგმის შესაბამისად, ჩატარებული იქნა 5 შიდა აუდიტორული შემოწმება; შესაბამისად, შედგენილი იქნა შიდა აუდიტორული ანგარიში, რომელშიც აისახა შიდა აუდიტის ობიექტებში ფაქტობრივად არსებული მდგომარეობა, განხორციელდა რისკების შეფასება და გაცემული იქნა რეკომენდაციები მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით; შიდა აუდიტი განხორციელდა მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებში.
ქვემოთ მოცემულია ინფორმაცია წლის განმავლობაში განხორციელებული შიდა აუდიტორული შემოწმების შესახებ ვადის მითითებით:

1.1. დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ 2016 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 1 ივლისამდე პერიოდში გაწეული საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის შესახებ (იანვარი - თებერვალი);

1.2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,დმანისის საბიბლიოთეკო სამსახურის'' მიერ 2017 წლის პირველი ივლისიდან 2019 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში გაწეული საქმიანობის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის ჩატარების შესახებ (მარტი-ივნისი);

1.3. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,დმანისის სამუსიკო სკოლის'' 2018 წლის 1 იანვრიდან 2020 წლის 1 იანვრამდე პერიოდში გაწეული საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტორული შემოწმების შესახებ (ივნისი-ივლისი);

1.4. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,დმანისის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის'' 2018 წლის პირველი იანვრიდან 2020 წლის 1 იანვრამდე პერიოდის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტორული შემოწმების შესახებ (აგვისტო-სექტემბერი);

1.5. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,დმანისის საგანმანათლებლო ცენტრის'' 2018 წლის პირველი ივლისიდან 2020 წლის 1 ივლისამდე გაწეული საქმიანობის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტორული შემოწმების შესახებ (მიმდინარეობს ნოემბერი-დეკემბერი).

შიდა აუდიტის ობიექტებიდან გამოთხოვილია შიდა აუდიტის მიერ გაცემული (შეთანხმებული) რეკომენდაციები და შეთანხმებულ რეკომენდაციათა შესრულების სამოქმედო გეგმები.

აუდიტის ობიექტებში აუდიტის მიმდინარეობისას შიდა აუდიტორის საქმიანობის შეზღუდვის ფაქტები არ დაფიქსირებულა.

2. მონიტორინგი

შიდა აუდიტის სამსახურის მიერ წლის განმავლობაში ექვსჯერ განხორციელდა შიდა აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციებია და შეთანხმებულ რეკომენდაციათა სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი. კერძოდ:

2.1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,დმანისის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის'' სამსახურის სტრუქტურულ ერთეულებში ბავშვთა კვების პროდუქტების არსებული ნაშთების მონიტორინგის შესახებ (იანვარი-თებერვალი);

2.2. დმანისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული იჯარით გაცემული სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მოიჯარეების მიერ საიჯარო ქირის გადახდის მონიტორინგის შესახებ (მარტი);
2.3. დმანისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ (მაისი);
2.4. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ომარ მუმლაძის სახელობის დმანისის სპორტული სკოლის'' 2017 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 31 დეკემბრამდე გაწეული საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის შესახებ'' შედგენილი ანგარიშის მიხედვით გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი (ივნისი);
3.5. ,,დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის მიერ 2015 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 1 იანვრამდე პერიოდში გაწეული საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის შესახებ'' ანგარიშის მიხედვით გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი (სექტემბერი);
3.6. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,დმანისის კულტურისა და ხელოვნების ცენტრის'' 2017-2018 წ.წ. საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტორული შემოწმების შესახებ'' შედგენილი ანგარიშის მიხედვით გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი (ნოემბერი);
3.7. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,დმანისის მუნიციპალიტეტის კომუნალური სამსახურის'' 2018 წლის პირველი იანვრიდან 2019 წლის 1 ივლისამდე პერიოდში გაწეული საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის შესახებ'' შედგენილი ანგარიშის მიხედვით გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი (დეკემბერი).